ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- კონკურენციის, ფინანსური და კაპიტალის ბაზრების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები 2
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში განხორციელებული ცვლილებები 10
- სამოქალაქო და საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები 13
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 16
- სამშენებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებები 18
- „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 19
- „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 20

„2024 წლის 18 აპრილის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

კონკურენციის, ფინანსური და კაპიტალის ბაზრების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის იანვრის პერიოდში რამდენიმე ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". დეკემბრის ცვლილება შეეხება საკითხს, რომელიც შეეხება ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ფუნქციებსა და ოპერაციებს. კერძოდ, ცვლილება შეტანილ იქნა კანონის ნორმატიული შინაარსის იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე არამარტო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით, არამედ დამატებით, ცვლილების თანახმად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით, მათი პირდაპირი შეძენის ან გაყიდვის გზით ან მათი შემდგომში შემდგომ გასხვისების ან გამოსყიდვის პირობით.

აღსანიშნავია, რომ ცვლილება შეეხო რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკებს. მოცემული ცვლილებით ეროვნულ ბანკს გააჩნია უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევაში ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი იმ კომერციულ ბანკზე, რომლის გადახდისუნარიანობა საეჭვოა, და ცვლილების თანახმად იმ კომერციულ ბანკებზე , რომლებიც იმყოფებიან რეზოლუციის რეჟიმში.

ცვლილებებით გაფართოვდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ფარგლები. კანონში დამატებული პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არაავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის, ინსტიტუციური ინვესტორის, საქართველოში რეგისტრირებული თავდაპირველი კრედიტორისა და ინიციატორის (გარდა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციისა) მიერ იმავე კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. აგრეთვე, აღნიშნული კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სეკიურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულზე არ ვრცელდება ის შეზღუდვა, რომლითაც მეწარმე სუბიექტს ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფს არ აქვს ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის ლიცენზიის ან საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე 20-ზე მეტი ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) მოიზიდოს დაბრუნებადი ფულადი სახსრები (მათ შორის, მიიღოს სესხი) ან/და აწარმოოს პირთა ფართო წრისაგან დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვის რეკლამირება.

კანონის შესაბამისად, ასევე, განისაზღვრა ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების ზედამხედველობის კუთხით. კერძოდ, კანონს დაემატა შინაარსი, რომლითაც ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების საქმიანობას, არაავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების, ინსტიტუციური ინვესტორების, თავდაპირველი კრედიტორებისა და ინიციატორების მიერ „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, განახორციელოს სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის რეგისტრაცია, გააუქმოს სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ავტორიზაცია. კანონში განხორციელებული დამატების თანახმად,

„ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმება, რეგულირება, წერილობითი მითითების გაცემა, დამატებით მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესება არის გათვალისწინებული ზედამხედველობის გაწევის ქვეშ. აგრეთვე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი გახდა დაადგინოს ავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ლიკვიდაციის განხორციელების წესი, აგრეთვე სეკიურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულს, ინსტიტუციურ ინვესტორს, თავდაპირველ კრედიტორსა და ინიციატორს დააკისროს ფულადი ჯარიმა.

ცვლილებებითვე მოწესრიგდა სარეზოლუციო ფონდში შესაბამისი წინასწარი შენატანის ვალდებულება საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ამავე ცვლილების თანახმად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის თანახმად განისაზღვრება წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმები და განხორციელების წესი. საქართველოში ლიცენზირებული კომერციული და უცხოური ბანკების ფილიალების წინასწარი შენატანები ჩაირიცხება სარეზოლუციო ფონდში, აგრეთვე დროებითი სახელმწიფო დაფინანსების გაცემის შემთხვევაში ამ ფარგლებში გამოყოფილი სახსრების შემდგომი ანაზღაურების მიზნით განხორციელებული შენატანები, აქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გასაცემი სესხები, გარანტიები და გრანტები, სარეზოლუციო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებით მიღებული შემოსავლები, აგრეთვე, სხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. სარეზოლუციო ფონდის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული გარანტია.

2023 წლის 16 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ეროვნულ ბანკს დამატებით მიენიჭა უფლებამოსილება, დაარეგულიროს ფასიანი ქაღალდების ფლობასთან დაკავშირებული საკითხები „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

2023 წლის 1 ნოემბერს განხორციელდა დამატება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელშიც ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება, საპენსიო აქტივების მართვის მიზნით განახორციელოს ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ავტორიზაცია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. *„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2023 წლის 1 ნოემბერს განხორციელდა ცვლილებები საქართველოს კანონში „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. ცვლილებების თანახმად კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, კანონის ძველი ვერსიის თანახმად კი, კანონის მოქმედება ვრცელდებოდა საქართველოს მოქალაქეებზე, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა.
ამასთანავე, აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, კანონი ითვალისწინებს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულებების დარღვევის (შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების) ან საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის დადგენის შედეგებს და საპენსიო სააგენტოს ანიჭებს რიგ უფლებამოსილებებს. რიგ შემთხვევებში, სააგენტო უფლებამოსილი ხდება მხარეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა ან/და მის მიმართ გამოიყენოს გაფრთხილება, ან მოსთხოვოს შესაბამის პირს დარღვევის გამოსწორდება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულების სახით.

კანონში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს მოწესრიგებას რისკის მთავარი ოფიცერის და საპენსიო სააგენტოს რისკების კონტროლის დეპარტამენტის არჩევის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

2024 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება კანონში შესული ცვლილება საინვესტიციო რისკების მთავარი ოფიცერი და საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო რისკის მონიტორინგის სამსახურის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია საინვესტიციო რისკის მთავარი ოფიცრის კანდიდატურის, ანგარიშვალდებულებების და უფლებამოსილებების საკითხები.

ცვლილებები არის შესული საპენსიო აქტივების ინვესტირების ნაწილშიც და საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს 3 საინვესტიციო პორტფელში: კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში, დაბალანსებულ (საშუალორისკიან) საინვესტიციო პორტფელში და დინამიკურ (მაღალრისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

აღსანიშნავია, რომ "დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდა დამატება მონაწილეთა მიერ საპენსიო აქტივების მიღების შესახებ საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას და საქართველოს მოქალაქეობის ან/და მუდმივი ბინადრობის დაკარვის/შეწყვეტის შემთხვევაში მონაწილეს აქვს უფლება, მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით.

3. *„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2023 წლის 16 ნოემბრის ცვლილებების თანახმად კომერციული ბანკებისთვის ნებადართულ საქმიანობათა ჩამონათვალს დაემატა ანგარიშის მწარმოებლის ფუნქციის შესრულება.
აგრეთვე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, თავის მიერ დადგენილი პირობებით კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ჩვეულებრივი აქციების გამოშვება შესაბამისი კაპიტალის ინსტრუმენტების მფლობელთა მიერ მათ შესაძენად არამხოლოდ დროებითი სახელმწიფო დაფინანსების განხორციელებამდე, როგორც ეს კანონის ძველი ვერსიით იყო გათვალისწინებული, არამედ სარეზოლუციო ფონდში აკუმულირებული სხვა ფულადი სახსრების გამოყენებამდეც 2023 წლის 15 დეკემბრის ცვლილებების თანახმად.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განხორციელდა ცვლილება, რომლითაც კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ ფუნქციების შესრულების დაწყებამდე საგადახდო სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, საგადახდო სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი იყო ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომერციული ბანკი. კანონის წინა ვერსიით საგადახდო სისტემის ოპერატორი უნდა ყოფილიყო ლიკვიდირებული ბანკი.

2023 წლის 16 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კლიენტების ფასიანი ქაღალდების მოწესრიგების საკითხი. კანონში შესული დამატებით, თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშის მწარმოებელი იყო, სპეციალური მმართველი ვალდებულია იმოქმედოს იმავე კანონის შესაბამისი მუხლის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს კანონში ჩამოთვლილ ქმედებათაგან ერთ-ერთის

განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების რესტიტუცია მათი სხვა ანგარიშის მწარმოებელთან გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე გადატანას, ანგარიშის მფლობელთა დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების სხვა ანგარიშის მწარმოებელთან გადატანა ამ კანონით გათვალისწინებული კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ან ამ კანონით გათვალისწინებული დროებითი ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენების ფარგლებში ანგარიშის მფლობელთათვის დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 29 ნოემბერს კანონში შეტანილი დამატების თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს დამატებით ზედამხედველობას ფინანსურ კონგლომერატში შემავალი შესაბამისი სუბიექტის დონეზე. აგრეთვე, დამატებულია კერძო შეთავაზების საფუძველზე გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ბანკი აღჭურვილია საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების უფლებამოსილებითა და შესაბამისი ვალდებულებების დადგენით.

მნიშვნელოვანია 2023 წლის 16 ნოემბერს განხორციელებული ცვლილება, რომლითაც საჯარო ფასიანი ქაღალდი საქართველოში გამოშვებული უნდა იქნეს არა მატერიალიზებული და არამატერიალიზებული ფორმით, როგორც კანონის წინა რედაქციით იყო მოცემული, არამედ დემატერიალიზებული ფორმით, ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში. ამავე ცვლილებებით არის მოწესრიგებული ფასიანი ქაღალდების ფორმისა და რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების საკითხი, რომლითაც რეგულირდება ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების გამოშვების ფორმები, დემატერიალიზების და სხვა საკითხები.

აგრეთვე, ცვლილებები არის შეტანილი საბროკერო კომპანიისათვის, საფონდო ბირჟისათვის, ცენტრალური დეპოზიტარისათვის (დეპოზიტარისათვის) და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის მიცემული ლიცენზიის გაუქმების საკითხზე, რომლის თანახმადაც საქართველოს ეროვნულ ბანკს ლიცენზიის გაუქმების უფლებამოსილება ენიჭება იმ შემთხვევაშიც, თუ ლიცენზიის მფლობელი (საბროკერო კომპანია ან ცენტრალური დეპოზიტარი) გადახდისუუნარო გახდა.

ამასთანავე, არის კანონში დამატება საბროკერო კომპანიისა და ცენტრალური დეპოზიტარის ლიკვიდაციის თაობაზე, ასევე, აქტივების მათ კრედიტორებზე განაწილება და ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საბროკერო კომპანიის/ცენტრალური დეპოზიტარის სალიკვიდაციო მასა, რომელიც შედგება სუბიექტის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტისთვის საბროკერო კომპანიის/ცენტრალური დეპოზიტარის კუთვნილი აქტივებისა და ლიკვიდაციის პროცესში შეძენილი აქტივებისგან.

ცვლილებებით აგრეთვე განისაზღვრა ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების ემისიის რეგისტრაცია, ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილისთვის „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების ანგარიშის გახსნა და წარმოება და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის ოპერირება (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი). აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებს წინასწარი თანხმობის მიღების აუცილებლობას საქართველოს ეროვნული ბანკისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული მომსახურება/საქმიანობა უკვე გათვალისწინებულია ცენტრალური

დეპოზიტარის ლიცენზიით. ამავე ცვლილებებით გათვალისწინებულია საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის დაკარგვის საფუძვლები და პროცედურა.
2023 წლის 29 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან/და მისი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს სანქციები დამატებით იმ შემთხვევაშიც, თუ ფასიანი ქაღალდის ბაზრის რეგულირებადმა მონაწილემ ან/და მისმა მმართველმა ორგანოს წევრმა დაარღვია „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

5. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 16 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებები შეეხო საინვესტიციო ფონდში ერთეულებზე საკუთრების უფლების დადასტურებასა და საკუთრების გადაცემის საკითხებს. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული/რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდის ერთეულები დემატერიალიზებულია, არ მოხდება საინვესტიციო კომპანიის ერთეულთა მფლობელის რეესტრის წარმოება.

2023 წლის 15 დეკემბრის ცვლილებებით კანონში აგრეთვე შეიცვალა UCITS-ის და გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის პირობები, რის შედეგადაც საინვესტიციო კომპანიის ავტორიზაციის მიზნით განმცხადებელი კომპანიის ან განმცხადებლის მიერ დანიშნული ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიის მიერ წარსადგენი დოკუმენტები და ინფორმაციო საზედამხედველო ორგანოს მიმართ აღარ შეიცავს კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პირების შესახებ ინფორმაციასა და დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს მათ შესაფერისობას საინვესტიციო ფონდის ჯანსაღი და კეთილგონივრული მართვის საჭიროების გათვალისწინებით.

ამავე ცვლილებებით არის მოწესრიგებული აქტივების განაწილების შესახებ ნორმა კანონში, რომლის მიხედვითაც ერთეულის მფლობელებისთვის მისაცემი ანაზღაურება განისაზღვრება მათი კუთვნილი ერთეულების წმინდა ღირებულების მიხედვით, თუ სადამფუძნებლო დოკუმენტით ან ერთეულის მფლობელებს შორის არსებული შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6. „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2023 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად, კანონიდან ამოღებულია მოთხოვნა, რომლითაც მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ წერილობით მიმართვას დაერთოს მისი ჯგუფის სტრუქტურის/მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია.

აგრეთვე, განხორციელებულია ცვლილებები მიკრობანკის ლიკვიდაციის შესახებ. კერძოდ, განისაზღვრა მიკრობანკის ლიკვიდაციისას უზრუნველყოფილი კრედიტორის (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს) უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით. უზრუნველყოფის ღონისძიების (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უზრუნველყოფის ღონისძიების) რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად. კანონში ცვლილებებით განისაზღვრა მიკრობანკის მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილების თანმიმდევრობაც.

7. დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ საქართველოს კანონი

2023 წლის 16 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ. კანონი აწესრიგებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. აღნიშნული ფორმით ფასიანი ქაღალდები არსებობს მხოლოდ ელექტრონული ფორმით ანგარიშზე ჩანაწერის სახით და მათზე საკუთრების უფლება დასტურდება სისტემის ამონაწერით. შესაბამისად, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შედეგად აღარ არის საჭირო ფასიანი ქაღალდების მატერიალური სახით ფლობა ან რეგისტრაცია, არამედ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე.

მიღებული კანონმდებლობა ადგენს და განსაზღვრავს ინვესტორების უფლებებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობისას. ცენტრალური დეპოზიტარი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირია, რომელიც ახორციელებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების გამოშვება/ემისიის რეგისტრაციას ან/და ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნასა და წარმოებას.

საქართველოს კანონი დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ აწესრიგებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის საკითხებს, რომლის მიხედვითაც დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიღება და გადაცემა ხდება ანგარიშის მფლობელის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტებით ან დადებეტებით.

კანონით აგრეთვე დადგენილია ფლობის რეჟიმი, რომელიც გამოხატულია პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით და ანგარიშის მწარმოებელს ანიჭებს შესაძლებლობას, დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს ფლობდეს მესამე პირის ან თავის სასარგებლოდ. განსაზღვრულია დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე თანასაკუთრების უფლება. ინვესტორისთვის გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს ინვესტორის წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის პროპორციულად, ცენტრალურ დეპოზიტარში ან ანგარიშის მწარმოებელთან არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი ინვესტორების დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები.
რაც შეეხება დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებას ანგარიშის მწარმოებლისა და ცენტრალური დეპოზიტარის მიმართ, კანონით განსაზღვრულია ინვესტორის უფლება საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, რომელიც შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმ ანგარიშის მწარმოებლის მიმართ, რომელთანაც ფლობს დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს, ან ცენტრალური დეპოზიტარის მიმართ, თუ ინვესტორი დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს პირდაპირ მასთან ფლობს. გამონაკლისები დადგენილია ისეთ შემთხვევებში, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების რესტიტუციასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელება ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციისას;
- ემიტენტის მიმართ დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო მოთხოვნების ან კორპორაციული უფლებების განხორციელება;
- ემიტენტის მიმართ „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და

დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეჟიმის შემოღება, რა შემთხვევაშიც უფლებები ემიტენტის მიმართ ხორციელდება.

აღნიშნული კანონი აგრეთვე ითვალისწინებს ანგარიშის მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხს, როდესაც მის მიერ ცენტრალურ დეპოზიტარში ან სხვა ანგარიშის მწარმოებელთან გახსნილ ანგარიშებზე განთავსებული იდენტური ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ნაკლებია იმ იდენტური დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობაზე, რომლებიც დაკრედიტებულია ანგარიშის მწარმოებელთან ანგარიშის მფლობელთა მიერ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე. მოცემული საკითხის ირგვლივ კანონში გამოყოფილია ორი წინაპირობა, რომელთა თანახმადაც მოცემულია როგორც მწარმოებლის ბრალი, ისე დაუძლეველი ძალის შედეგი.

მნიშვნელოვანია, რომ კანონში მოწესრიგებულია დივიდენდის, პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის საკითხები, რომლითაც ემიტენტს ეკისრება ვალდებულება, დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდზე შესაბამისი თანხა ხელმისაწვდომი გახადოს წინასწარ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც ემიტენტი გათავისუფლდება ვალდებულებისაგან.

8. „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონი

2023 წლის 15 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც არის განსაზღვრული სეკიურიტიზაციის გარიგებასთან, გარიგების მხარეებთან და გარიგების შედეგად გამოშვებულ სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტთან დაკავშირებული სამართლებრივი და ფინანსური საკითხები. კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საქართველოში დაფუძნებულ სეკიურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. აღნიშნული სპეციალური მიზნობრივი ერთეული შეიძლება დაფუძნდეს სეკიურიტიზაციის კომპანიის ან სეკიურიტიზაციის ფონდის ფორმით. კანონით იკრძალება სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ურთიერთობისთვის სხვა საქმიანობის განხორციელება, გარდა სეკიურიტიზაციის განსახორციელებლად ან მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საქმიანობისა და დამხმარე საქმიანობისა.

კანონი ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ განსაზღვრავს, რომ სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეული ვალდებულია სეკიურიტიზაციის განხორციელების შესახებ შეატყობინოს ეროვნული ბანკს და მოიპოვოს ავტორიზაცია, აგრეთვე ჩამოთვლის ავტორიზაციის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, მათ შორის ავტორიზაციის მოსაკრებელსაც, რაც განსაზღვრულია 5,000 ლარის ოდენობით და რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი რიგ შემთხვევებში უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ავტორიზაციის მოთხოვნაზე, თუ წარდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება კანონს, არსებობს ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი, ან მჭიდრო კავშირმა მხარეებს შორის შეიძლება შეაფერხოს ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანად შესრულება, ან არსებობს ავტორიზაციის შესახებ განაცხადზე უარის თქმის სხვა საფუძველი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. კანონი აწესრიგებს ავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, და ჩამოთვლის სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს ეროვნული ბანკი დაიწყებს ლიკვიდაციის პროცესს. ეს საფუძვლებია:

- გადახდისუუნარობა;
- მისი დაშლის რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე- სეკიურიტიზაციის კომპანიის შემთხვევაში;
- პაის მფლობელების ან სხვა უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ ეს გათვალისწინებულია სადამფუძნებლო დოკუმენტით- სეკიურიტიზაციის ფონდის შემთხვევაში.

აღნიშნულ ფარგლებში კანონი ლიკვიდატორს აღჭურავს უფლებამოსილებით, განახორციელოს ქმედებები, რომლებიც აუცილებელია სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ლიკვიდაციისთვის, მისი აქტივების განკარგვისა და ინვესტორთა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.
კანონი ითვალისწინებს სეკიურიტიზაციის რისკებს, კერძოდ, განსაზღვრულია საბაზისო აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გადაცემა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად:

- სეკიურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულზე საბაზისო აქტივების გასხვისებით;
- საკრედიტო დერივატივის დადებით, გარანტიის გაცემით ან სხვაგვარად, ისე, რომ საბაზისო აქტივები ინიციატორის საკუთრებაში დარჩეს.

რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ რისკების მართვას, განსაზღვრულია სპეციალური მიზნობრივი ერთობლივის უფლება, დადოს ხელშეკრულება ინიციატორთან ან სხვა პირთან თანხების შეგროვების ან ამოღების ან საბაზისო აქტივების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების შეძენის მიზნით. აღნიშნული არ საჭიროებს ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას. კანონი მიუთითებს, რომ ინიციატორი ან თავდაპირველი კრედიტორი მუდმივად უნდა ფლობდეს სეკიურიტიზაციის მატერიალურ, წმინდა ეკონომიკურ ინტერესს არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

9. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა ცვლილებები საქართველოს კანონში “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ”. აღნიშნული ცვლილებებით კანონში დამატებით განისაზღვრა იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენებისას „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის განყოფილების აქტივებზე მიმართვა, რომელიც დასაშვები არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზანს წარმოადგენს სეკიურიტიზაციის განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება. აგრეთვე, ამ მხრივ კანონი კრძალავს „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მომსახურების გამწევი პირის, როგორც გადამხდელის, მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენებისას მის მიმართვას სპეციალური მიზნობრივი ერთეულისთვის მისაკუთვნებელ ფულად სახსრებზე. აღნიშნული მომსახურების გამწევი პირის მიერ იმიჯნება საკუთარი და სხვა კლიენტის აქტივებისგან. ამ კუთხით გასათვალისწინებელია, რომ კანონში აღსრულების შეწყვეტის საფუძვლებს დაემატა საინვესტიციო ფონდის ან მისი ქვეფონდის, ავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ან მისი განყოფილების მიმართ ლიკვიდაციის დაწყების პროცესი.

კანონში შეტანილია ცვლილება ასევე ყადაღადადებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზების შესახებ, კერძოდ, თუ სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის უფლების

წინ რეგისტრირებულია სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხით საფასურისა და აღსრულების ხარჯის დაფარვის შემდეგ პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები, ხოლო შემდეგ საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა.

აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების მიღებასთან დაკავშირებით კანონში მოხდა დამატება, რომლის მიხედვითაც თუ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი იპოთეკარია სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეული, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ქონებაზე ასეთი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებაც. კანონში შესული ცვლილებებით პირველი, მეორე და მესამე რიგის მოთხოვნებთან დაკავშირებით დამატებით განისაზღვრა, რომ თუ აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ შემოსავლების სამსახური საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეული, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ – საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

აგრეთვე, კანონში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებულია, რომ თუ სხვა პირის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა წინ უსწრებს სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის საგადასახადო გირავნობას/იპოთეკას, ამ პირის მოთხოვნები უპირატესად დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის რეგისტრირებული, საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იმ ნაწილში, რომლის დაკმაყოფილების ვალდებულებაც არსებობდა რეალიზებულ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე.

10. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 29 ნოემბერს განხორციელდა ცვლილებები “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონში, რომელთა თანახმადაც განისაზღვრა მხარისთვის დაკისრებული ჯარიმის განსხვავებული დაანგარიშების წესი. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, განსხვავებით კანონის წინა ვერსიისაგან, რომლის მიხედვითაც 5% გამოითვლებოდა მისი წლიური ბრუნვიდან. აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ერთობლივი შემოსავლის 10%-ით, კანონის წინა ვერსიით კი მოცემული იყო წლიური ბრუნვის 10%.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ცვლილება კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის ვალდებულების მქონე ეკონომიკურ აგენტზე ჯარიმის დაკისრების იმ ნაწილში, რომლითაც ამ კანონის შესაბამისი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა დაეკისრება იმგვარად, რომ არ აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, ხოლო ფიზიკურ პირს 10 000 ლარის ოდენობით, განსხვავებით კანონის წინა ვერსიისაგან, რომლის მიხედვითაც აღნიშნული გამოითვლებოდა წლიური ბრუნვის 5%-ით.

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში განხორციელებული ცვლილებები

11. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 21 თებერვლის კანონით ძირეული ცვლილებები შევიდა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონში. ცვლილებით დადგინდა რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა. ხოლო სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა შეიძლება იყოს სიტყვა (სიტყვები), სახელი (სახელები), ასო (ასოები), ციფრი (ციფრები), ბგერა (ბგერები), გამოსახულება, ფერი (ფერები), საქონლის ან მისი შეფუთვის ფორმა. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლებიდან ამოღებულია შეზღუდვა რომლითაც ნიშნად არ რეგისტრირდებოდა ერთი არასტილიზებული (სტანდარტული ასო ან ციფრი, ან ცალკე აღებული მხოლოდ ერთი ფერი. ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს დაემატა შემდეგი: თუ სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა შეიცავს ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა მცენარის ახალი ჯიშის დასახელებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე დაცულია საქართველოში, და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მცენარის იმავე ან მსგავსი ჯიშისთვის; აგრეთვე სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა რომელიც აღნიშნავს მხოლოდ საქონლის ფორმას ან სხვა მახასიათებელს, რომელიც: ა) განპირობებულია საქონლის თვისებებით; ბ) აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად; გ) საქონელს არსებით ღირებულებას სძენს.

კანონით რეგულირებულ განსაკუთრებულ უფლებებს დაემატა მნიშვნელოვანი ჩანაწერი რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული უფლებების მქონე პირს შეუძლია მესამე პირს აუკრძალოს სასაქონლო ნიშნის საფირმო სახელწოდებად ან მის ნაწილად გამოყენება. ცვლილება შევიდა განსაკუთრებული უფლებების ფარგლების მარეგულირებელ მუხლში. დაზუსტდა რომ მხოლოდ ფიზიკური პირის და არა იურდიული პირის საკუთარი სახელის ან/და მისამართის ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოყენების აკრძალვაა შეზღუდული.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე სასაქონლო რეგისტრაციის დროს საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალის მითითების კუთხით. კერძოდ, განისაზღვრა რომ საქონელი/მომსახურება განაცხადში უნდა მიეთითოს ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს სასაქონლო ნიშნისთვის მოთხოვნილი დაცვის ფარგლების ზუსტად და ცხადად განსაზღვრა. განაცხადში საქონლის ზოგადი დასახელებების (მათ შორის, საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურში გამოყენებული ზოგადი დასახელების) მითითებისას განაცხადში მოცემული საქონლის ჩამონათვალის ფარგლები განისაზღვრება ამ დასახელებების პირდაპირი მნიშვნელობის მიხედვით. სასაქონლო ნიშნისთვის საქონლის ზოგადი დასახელებებით მოთხოვნილი დაცვა არ ვრცელდება ისეთ საქონელზე, რომელსაც ამ დასახელებების შინაარსი არ მოიცავს. აღნიშნულთან დაკავშრებით აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ იმ სასაქონლო ნიშნის მფლობელს ან განმცხადებელს, რომელმაც განაცხადი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებამდე შეიტანა და აღნიშნულ განაცხადში საქონლის ჩამონათვალი საერთაშორისო კლასიფიკატორის კლასის სათაურის სახით მიუთითა, უფლება აქვს, დააზუსტოს საქონლის ჩამონათვალი და მიუთითოს ის საქონელი, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკატორის კლასის სათაურში გამოყენებული საქონლის დასახელების პირდაპირ მნიშვნელობას არ შეესაბამება, თუ განაცხადის შეტანის მომენტისთვის ეს საქონელი საერთაშორისო კლასიფიკატორის მოქმედი რედაქციის ანბანურ ჩამონათვალში იყო მოცემული. დაზუსტება

ცვლილების ამოქმედებიდან ერთი წლის მანძილზე იქნება უფასო, ხოლო შემდეგ გადასახდელი იქნება განსაზღვრული საფასურის გადახდა გათვალისწინებული. კლასიფიკაციის ჩამონათვალის დაზუსტებისთვის და კანონთან შესაბამისობაში მოყვანისთვის განსაზღვრულია 5 წლიანი ვადა. ამ ვადის გასვლის მომენტიდან კი მიიჩნევა, რომ სასაქონლო ნიშანი დაცულია მხოლოდ იმ საქონლისთვის, რომელიც ცხადად გამომდინარეობს საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისი კლასის სათაურში მითითებული საქონლის ჩამონათვალის შინაარსიდან (მნიშვნელობიდან).

კანონს დაემატა აგრეთვე სასაქონლო ნიშნის დაყოფის მარეგულირებელი მუხლებით. გაიწერა რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება დაიყოს ორ ან ორზე მეტ იდენტურ სასაქონლო ნიშნად მათთვის დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომრების მინიჭებით, იმ პირობით, რომ არ მოხდება დაყოფის საფუძველზე წარმოშობილი სასაქონლო ნიშნების შესაბამისი საქონლის ჩამონათვალებს შორის გადაფარვა.

კანონმა შემოგვთავაზა სიახლე ახალი თავის დამატებით, რომლითაც სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციის, დაცვისა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა. განისაზღვრა, რომ სასერტიფიკაციო ნიშანი არის სასაქონლო ნიშნის სახე, რომელიც სერტიფიცირებულ საქონელს განასხვავებს არასერტიფიცირებული საქონლისგან საქონლის მასალის, წარმოების პროცესის, ხარისხის, სიზუსტის ან სხვა მახასიათებლის (გარდა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობისა) მიხედვით. ხოლო აღნიშნული ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი (მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), თუ მისი საქმიანობა დაკავშირებული არ არის იმ საქონლის წარმოებასთან ან მიწოდებასთან, რომლისთვისაც მოითხოვება სასერტიფიკაციო ნიშნის დაცვა.

შეიცვალა ნიშნის საყოველთაოდ ცნობის ნორმები. ცვლილებების მიხედვით, საყოველთაოდ ცნობილად აღიარება მოხდება მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სააპელაციო პალატისთვის საჩივრის წარდგენის ან სასამართლო დავის წარმოქმნის ეტაპზე და არა წინასწარი მიმართვის გზით, როგორც ცვლილებებამდე იყო გათვალისწინებული. ამასთან, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილობის ერთ-ერთი საფუძველი გახდა საყოველთაოდ ცნობილი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანი.

12. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში 2023 წლის 15 დეკემბერში შევიდა ცვლილებები. კანონს დაემატა მუხლები, რომლითაც დარეგულირდა საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ბეჭდური ნაწარმოების ნებადართული გამოყენება ბეჭდური ნაწარმოების კითხვისთვის საჭირო უნარის დარღვევის მქონე პირის სასარგებლოდ და ბენეფიციარის სტატუსისა და ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების წესი. კანონის მიზნებისთვის ბენეფიციარი არის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მიუხედავად, პირი, რომელსაც აქვს მხედველობის, ფიზიკური შესაძლებლობის, აღქმის ან ბეჭდური ნაწარმოების კითხვისთვის საჭირო სხვა უნარის ისეთი დარღვევა, რომლის გამოც მას ბეჭდური ნაწარმოების სხვა პირის თანაბრად კითხვა არ შეუძლია. განისაზღვრა, რომ ბენეფიციარს უფლება აქვს, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის წინასწარი თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე მოიპოვოს (მიიღოს) ბეჭდური ნაწარმოების მისაწვდომი ფორმატის ასლი ადგილობრივი ავტორიზებული პირისა და შესაბამის

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში აღიარებული ავტორიზებული პირისგან. ამასთანავე, ბენეფიციარს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს, პერსონალურ ასისტენტს, მხარდამჭერს, მზრუნველს უფლება აქვს, განახორციელოს ბეჭდური ნაწარმოების მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირება ბენეფიციარის მიერ ამ ნაწარმოების პირადი მიზნით სარგებლობისთვის. ამასთან, განისაზღვრა, რომ კანონის მიზნებისთვის ავტორიზებული პირია – „საქპატენტის“ მიერ ავტორიზებულ პირად აღიარებული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანებული მასობრივი (საჯარო) ბიბლიოთეკა, ის საგანმანათლებლო დაწესებულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ბენეფიციარებისთვის საგანმანათლებლო მომსახურების არაკომერციული მიზნით მიწოდებაა.

სამოქალაქო და საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

სამოქალაქო და საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

- 2023 წლის 16 ნოემბერს შესული ცვლილებები

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით 2024 წლის 1 მარტს ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები.

ცვლილებების საფუძველზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განისაზღვრა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ გავრცელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით პუნქტით გათვალისწინებულ განსაზღვრულ აქტივებზე (კლიენტის აქტივები, რომლებიც არ არის ფინანსური ინტიტუტის, ნოტარიუსის საკუთრება და, შესაბამისად, მათზე არ უნდა იქნეს მიმართული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები) თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოთხოვნილია იმავე პუნქტში მითითებული სუბიექტის მიმართ არსებული სადავო მოთხოვნიდან გამომდინარე.

ამასთან, ცვლილებები ითვალისწინებს ლიკვიდატორის ან სპეციალური მმართველის უფლებამოსილებას, ყადაღადადებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშები უცვლელად გადაიტანოს სხვა ანგარიშის მწარმოებელთან.

- 2023 წლის 15 დეკემბერს შესული ცვლილებები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კიდევ ერთი ცლილება 2023 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა. ცვლილებები განპირობებულია „სეკიურიტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებით და აღნიშნული კანონპროექტით გათვალისწინებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის მარეგულირებელი ჩარჩოს იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით.

ცვლილების თანხმად, ინვესტორთა დაცულობისათვის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ გავრცელდება სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის „სეკიურიტიზაციის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ან მისი განყოფილების აქტივებზე, ამავე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 აპრილს.

- 2024 წლის 21 თებერვალს შესული ცვლილებები

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გაუქმდა ის დებულებები, რომლებიც მოწმის, ახსნა-განმარტების მიმცემი პირის, სტატუსის მიღების შესაძლებლობიდან გამორიცხავს იმ შშმ პირებს, რომლებსაც შესაძლებლობის შეზღუდვის გამო არ შეუძლიათ სწორად აღიქვან ფაქტები და მისცენ მათ შესახებ სწორი ჩვენება. შესაბამისად, ფსიქიკური და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე შშმ პირებს მიენიჭათ ასეთი სტატუსის მიღების პროცესუალური შესაძლებლობა.

ამავე დროს, ახლებურად ჩამოყალიბდა მტკიცებულებათა შეფასების შესახებ დანაწესი, რომლის საფუძველზეც, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასებისას, სხვა მტკიცებულებების მსგავსად, ფსიქიკური და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე შშმ პირთა მიერ მიცემული ჩვენების სანდოობა უნდა შეფასდეს მოსამართლის მიერ მის ხელთ არსებული კანონიერი მექანიზმების გამოყენებით, რითაც დაკმაყოფილდება სამოქალაქო პროცესში მტკიცებულების სისწორის ტესტით შეფასების ინტერესი.

- 2024 წლის 21 თებერვალს შესული ცვლილებები

2024 წლის 7 მარტს ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები, რომლის საფუძველს წარმოადგენს კოდექსის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით სასამართლოში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული დავისას საქმის წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველად განისაზღვრა ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელის, რომელიც ითხოვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობას, ვალდებულება სასამართლოს წარუდგინოს სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულება. აღნიშნული მტკიცებულების წარუდგენლობის ან მისი გამოუყენებლობის საპატიო მიზეზის მიუთითებლობის შემთხვევაში, სარჩელზე წყდება საქმისწარმოება. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი ქვეპუნქტი, რომელიც მითითებას ხსენებულ ჩანაწერზე, როგორც საქმის წარმოების შეწყვეტის ერთერთ საფუძველზე, აკეთებს.

ამასთანავე, ვინაიდან „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების ახალი ობიექტი - სასერტიფიკაციო ნიშანი, რომელიც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის სახეს, შესაბამისად, ზემოაღნიშული ცვლილების ასახვა მოხდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც და განსაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისა და განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონლის ცნება.

14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

- 2023 წლის 16 ნოემბერს შესული ცვლილებები

სამოქალაქო კოდექსში 2023 წლის 16 ნოემბერს შესული ცვლილებების საფუძველია "დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ ფასიანი ქაღალდების დაგირავება განხორციელდება მათი შეძენისათვის დადგენილი წესით, დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე გირავნობის უფლების წარმოშობა კი მოხდება „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

გასათვალისწინებელია, რომ კოდექსში ცვლილებებამდე არსებული ჩანაწერის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით, თუმცა ეს უკანასკნელი დაგირავების წესის რეგულირებას არ ახდენდა. რაც შეეხება რეგისტრირებულ ფასიან ქაღალდებს, მათთან მიმართებით ძალაში რჩება დღეს არსებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ფასიანი ქაღალდების რეესტრის მეშვეობით ემიტირებულ ფასიან ქაღალდებზე გირავნობის უფლების წარმოშობას დეტალურად არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

კოდექსში შესული ცვლილებებით დადგინდა ვალდებულების შეწყვეტის წესი იმ შემთხვევაში, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება. მეტი სიცხადისათვის, დაკონკრეტდა თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულება გამომდინარეობს სასესხო ფასიანი ქაღალდიდან და ემიტენტი აღნიშნულ ფასიან ქაღალდს შეიძენს. კერძოდ, ვალდებულებითი ურთიერთობა მაინც არ შეწყდება, თუ ვალდებულება სასესხო ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარეობს და ემიტენტი აღნიშნულ ფასიან ქაღალდს შეიძენს. ემიტენტის მიერ საკუთარი სასესხო ფასიანი ქაღალდის ფლობისას ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ ამ ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადა გავა ან ემიტენტი მიიღებს გადაწყვეტილებას ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. რეგისტრირებული ან დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ემიტენტის გადაწყვეტილება ძალაში შევა ამავე გადაწყვეტილების ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში ასახვის მომენტიდან.

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონთან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისობაში მოსაყვანად, კოდექსს ახალი ქვეთავი დაემატა, რომლის მიზანსაც დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ცნების განსაზღვრა და მისგან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების საკითხის რეგულირება წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსითვე განისაზღვრა დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა, რომელიც შეადგენს ოცდაათ წელს ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომიდან.

აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

- 2023 წლის 15 დეკემბერს შესული ცვლილებები

„სეკიურიტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრა, რომ სეკიურიტიზაციის ფონდი და სეკიურიტიზაციის განყოფილება

წარმოადგენს იურიდიული პირის სტატუსის არმქონე წარმონაქმნებს. თანმდევი ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, დაემატა თავი, რომელიც აწესრიგებს სეკიურიტიზაციის ფონდის სამართლებრივ სტატუსს.

კოდექსში, აგრეთვე, განისაზღვრა, რომ სეკიურიტიზაციის განყოფილების სამართლებრივი ბუნება, რომლის თანახმადაც, იგი წარმოადგენს სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის (სეკიურიტიზაციის ფონდის ან სეკიურიტიზაციის კომპანიის) დამოუკიდებელ ნაწილს, მისი მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები კი დარეგულირებულია „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ" საქართველოს კანონით. დამატებით დაზუსტდა, რომ სეკიურიტიზაციის განყოფილებას სასამართლოში ან სასამართლოსგარეშე ურთიერთობებში წარმოადგენს სეკიურტიზაციის ფონდის აქტივების მმართველი კომპანია, ხოლო სეკიურიტიზაციის კომპანიების შემთხვევაში - სეკიურტიზაციის კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან აქტივების მმართველი კომპანია, თუკი იგი დანიშნულია სეკიურიტიზაციის კომპანიის მიერ.

აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2024 წლის 1 აპრილიდან.

15. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

- 2023 წლის 16 ნოემბერს შესული ცვლილებები

2024 წლის 1 მარტს ამოქმედდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს შესული ცვლილებები, რომლის საფუძველია „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედება.

ცვლილებების საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების მიერ სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან მიმართებით განისაზღვრა სასესხო ფასიანი ქაღალდის ცნება და დადგინდა, რომ იგი წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების მიმართ ფულად მოთხოვნას, რომელიც შეიძლება გამოშვებული იყოს პერიოდული პროცენტის (კუპონის) გადახდის პირობით ან მის გარეშე. კანონში შესული ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები უკავშირდება აქციის ფორმასა და მისი ფლობის რეგულირებას. კერძოდ, ახლებურად ჩამოყალიბდა აქციის ცნება, რომლის მიხედვით, აქცია არის რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდი ან დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას, ამასთანავე, აქცია მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ რეგისტრირებულ ფასიან ქაღალდსაც, რომელზე საკუთრებაც დასტურდება ემიტენტის მიერ ან ემიტენტის სახელით წარმოებულ რეესტრში ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში რეგისტრაციით.

გასათვალისწინებელია კანონის მოთხოვნა იმ სააქციო საზოგადოების მიმართ, რომლის აქციები საჯარო ფასიანი ქაღალდებია. აღნიშნულ შემთხვევაში, ეს აქციები უნდა იყოს დემატერიალიზებული, გარდა სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

ასევე, ცვლილებებით განისაზღვრა აქციების ფლობისა და აქციონერის საკუთრების უფლების დადასტურების საკითხიც. კერძოდ, დაზუსტდა, რომ თუ „დემატერიალიზებული

ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დემატერიალიზებული აქციის ფლობა არ ხორციელდება საქართველოში, აქციაზე აქციონერის უფლება დასტურდება იმ ფინანსური ინსტიტუტის ჩანაწერით, რომელიც აქციას ფლობს აქციონერის სასარგებლოდ." რაც შეეხება რეგისტრირებულ აქციას, თუ "ფასიანი ქაალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მისი ფლობა არ ხორციელდება საქართველოში, აქციაზე აქციონერის უფლება დადასტურდება იმ ფინანსური ინტიტუტის ჩანაწერით, რომელიც აქციას ფლობს აქციონერის სასარგებლოდ.

ამასთანავე, ცვლილების საფუძველზე, კანონი აღარ ითვალისწინებს განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებისა და მისი შემცირების თაობაზე ინფორმაციის აქციათა რეესტრში ასახვის ვალდებულებას, თუმცა, გამოქვეყნების ვალდებულება, კვლავ უცვლელი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ, მართალია, დემატერიალიზების ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სააქციო საზოგადოების აქციები საჯაროა, თუმცა ეს არ უზღუდავს სააქციო საზოგადოებას უფლებას, საკუთარი სურვილით მოახდინოს აქციათა დემატერიალიზაცია. აღსანიშნავია, რომ კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებით, აქციების დემატერიალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების კომპეტენციად განისაზღვრა.

ვინაიდან, კანონში შესული ცვლილებებით ახლებურად განისაზღვრა აქციის ფორმა და მისი ფლობის რეგულირება, შესაბამისად, შეიცვალა აქციათა რეესტრის წარმოების წესიც. კერძოდ, რეგისტრირებულ აქციათა რეესტრის მწაროებელი პირი ან დემატერიალიზებული აქციების შემთხვევაში - ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი, ამ თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, ყველა ნომინალურ მფლობელს/ანგარიშის მწარმოებელს შეატყობინოს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე კი შეწყდება აღნიშნულ აქციებთან დაკავშირებული ოპერაციები, გარდა კანონით გათვალისწინებული ქმედებებისა. რეგისტრატორი გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით შეადგენს ყველა აქციონერის სიას (ამ სიაში მიეთითება აქციონერთა ვინაობა, მისამართები და მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობა) (გამოსყიდვის რეესტრი) და მყიდველის მიერ კანონის შესაბამისად ქმედებათა განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტების (მათ შორის, აქციათა გამოსასყიდი თანხის სრულად დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტის) წარდგენის საფუძველზე ყველა აქციას მყიდველის სახელზე ან მყიდველის არჩევით შესაბამისი ნომინალური მფლობელის/ანგარიშის მწარმოებლის სახელზე გადააფორმებს. აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებულ რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად განისაზღვრა მყიდველი, რომელმაც ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდი თანხა უნდა განათავსოს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე კომერციულ ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან და მას გადასცეს გამოსყიდვის რეესტრი.

- 2023 წლის 30 ნოემბერს შესული ცვლილებები

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, განსაზღვრული იყო საწარმოთა

ვალდებულება უზრუნველყო მისი სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობაში მოყვანა ამავე კანონის მოთხოვნებთან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

თუმცა, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში 2023 წლის 30 ნოემბერს შესული ცვლილებებით, 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საწარმოს 2025 წლის 1 აპრილამდე შეუნარჩუნდება შესაძლებლობა უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, მარეგისტრირებელი ორგანო 2026 წლის 1 იანვრიდან იღებს გადაწყვეტილებას ამ ვალდებულების დამრღვევი მეწარმის რეგისტრაციის ხარვეზიანობის შესახებ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მას 3-თვიან ვადას უდგენს. თუ აღნიშნულ 3-თვიან ვადაშიც არ იქნება წარდგენილი განცხადება, მარეგისტრირებელი ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას მეწარმის ან/და ფილიალის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2024 წლის 1 მაისიდან საწარმოს (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) პარტნიორი/პარტნიორები, რომლის/რომელთა საკუთრებაში არსებული წილის/წილების ოდენობა 50 პროცენტს აღემატება, უფლებამოსილია/უფლებამოსილი არიან მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს/მიმართონ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოთხოვნით. საწარმოს რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი პირობები:

- მიმართვის დღისთვის და ამ თარიღამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში საწარმო არ არის რეგისტრირებული:
    - საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ;
    - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სხვა საწარმოს წილის მესაკუთრედ;
- მიმართვის დღისთვის და ამ თარიღამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში საწარმოზე არ არის რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება
- შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, მიმართვის დღისთვის და ამ თარიღამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში საწარმოს არ ერიცხება საგადასახადო დავალიანება, არ აქვს წარდგენილი საგადასახადო/საბაჟო დეკლარაცია და არ აქვს გადახდილი შესაბამისი გადასახადი/მოსაკრებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

16. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 15 დეკემბერს ცვლილებები შევიდა "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის" კოდექსში, რომლის ძირითადი მიზანია სამშენებლო წესების დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და მათი დახმარე შენობა-ნაგებობების კანონიერად მიჩნევა.

ცვლილებების საფუძველზე, კანონიერად მიიჩნევა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2023 წლის 1 დეკემბრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დამხმარე შენობა-

ნაგებობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე ის ნაგებობი, რომელზედაც ფიზიკური პირის საკუთრების უფლება დარეგისტრირდება „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული დანაწესი არ მოიცავს იმ ობიექტებს, რომლებიც აშენებულია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ასევე, არ ვრცელდება იმ იმ შენობა-ნაგებობაზე, რომლის ავარიულობის ხარისხიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, რის საფუძველზედაც უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება შენობა-ნაგებობის სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ან დემონტაჟის შესახებ. ასევე, ცვლილებები გავლენას არ ახდენს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებულ ობიექტთან დაკავშირებით მიმდინარე სამოქალაქო ან/და სისხლის სამართალწარმოებაზე.

2023 წლის დეკემბრის ცვლილებების შესაბამისად, შემოღებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობისას საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროებითი წესი. კერძოდ, ის სამშენებლო სამართალდამრღვევი, რომელსაც 2024 წლის 1 იანვრამდე დაეკისრა პასუხისმგებლობა შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის და 2024 წლის 1 იანვრამდე ჯარიმის/საურავის თანხა გადახდილი არ აქვს ან ნაწილობრივ აქვს გადახდილი, თავისუფლდება ჯარიმის/საურავის თანხის ან/და მისი გადაუხდელი ნაწილის გადახდის ვალდებულებისგან.
ცვლილებები შეეხო ასევე, სამშენებლო სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის დადგენილ პასუხისმგებლობის ზომებსა და მათ ოდენობას.

17. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს საქართველოს მოქალაქეობის პრეტენდენტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შემოწმების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა გამარტივებული ნატურალიზაციის ხელშეწყობა, კანონმდებლობის გაეროს 1954 წლის კონვენციასთან ჰარმონიზება.

ცვლილებების საფუძველზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება ჩვეულებრივი წესით, საქართველოში კანონიერ საფუძველზე 5 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრების შემდეგ. ამასთან, აღნიშნულმა პირმა, მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მოსაპოვებლად, უნდა დააკმაყოფილოს ამავე ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები დადგენილ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ენის, ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნასთან, აგრეთვე საქართველოში მუშაობასთან, ან/და

საქართველოში უძრავი ქონების ან საწარმოში წილის ან აქციების ფლობასთან, ან საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, დაზუსტდა ფიზიკური ნაკლის ცნება და განისაზღვრა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის კრიტერიუმები საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად, არ ვრცელდება მოქალაქეობის იმ პირისათვის მინიჭებაზე, რომელსაც აქვს ისეთი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან/და სენსორული დარღვევა, რომელიც შეუძლებელს ხდის იმის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა იგი კანონით დაწესებულ მოთხოვნებს.

2024 წლის 1 მაისიდან, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონე შემოწმდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების სააგენტოსთვის ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის ან საკონსულო დაწესებულებისთვის წარდგენამდე.

საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების შესახებ განცხადებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია განმეორებით მიმართოს შესაბამის ორგანოს გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში, ნაცვლად ერთი წლისა.

18. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის შესაბამისად, გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შეტანილი უნდა იქნეს მის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი მითითებული ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულებას, როდესაც ამ ვადაში გაფრთხილება, შეკრების/მანიფესტაციის სპონტანურობის გათვალისწინებით, შეუძლებელია.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS